**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი**

**ბრძანება** N 2-847

19/10/2018 **ქ. თბილისი**

**ქ. თბილისში შპს „პკლ ეკო სოლუშენის“ რეზინტექნიკური ნაწარმისა და პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ.**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ქ. თბილისში, დიდი ლილოს ტერიტორიაზე, შპს „პკლ ეკო სოლუშენის“ რეზინტექნიკური ნაწარმისა და პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N42 (03.10.2018წ.);
2. შპს „პკლ ეკო სოლუშენმა“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #42 (03.10.2018 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პკლ ეკო სოლუშენს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პკლ ეკო სოლუშენის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი